სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/71

ქ. თბილისი

22 მარტი 2019

ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 31 იანვრის №80/ი ბრძანების, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ენერგეტიკისა და ტელეკომინიკაციის ფაკულტეტის 2019 წლის 1-ელი მარტის საბჭოს სხდომის №1 ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №01-05-02/07 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამა:
   1.1. „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსი“.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს 2019 წლის სექტემბრიდან.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

დადგენილებას თან ერთვის ენერგეტიკისა და ტელეკომინიკაციის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**